

## პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა

განმახორციელებელი უწყება: სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო  
წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

2020 წელი

## სარჩევი

შესავალი .....	3
1. პროგრამის მიზანი .....	4
2. პროგრამის შედეგი .....	4
3. პროგრამის აღწერა .....	4
3.1. განაცხადების წარმოდგენა .....	5
3.2. განაცხადების დამუშავება .....	6
3.3. ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა .....	9
3.4. პროგრამის გავრცელების არეალი .....	9
3.5. პროგრამის ხანგრძლივობა .....	9
4. პროგრამის ბიუჯეტი .....	10
5. პროგრამის შეფასება და მონიტორინგი .....	10
5.1. პროგრამის მონიტორინგი .....	10
5.2. პროგრამის შეფასება .....	10

## შესავალი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები - დევნილები (შემდგომში - დევნილი) და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახები (ეკომიგრანტი) მოსახლეობის ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ფენას წარმოადგენენ, რომლებიც სახელმწიფოსგან განსაკუთრებულ მიდგომასა და მხარდაჭერას საჭიროებენ.

სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 ივნისის N1046 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული (ეკომიგრანტი) ოჯახებისათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის“ საფუძველზე, ახორციელებს „პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამას“ (შემდგომში - პროგრამა).

წინამდებარე პროგრამა განკუთვნილია დევნილებისთვის, ასევე, იმ ეკომიგრანტი ოჯახის წევრებისთვის, რომლებზედაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანების შესაბამისად, გამოცემულია საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების შესახებ ბრძანება (შემდგომში - ეკომიგრანტი).

## 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის ზოგადი მიზანია, დევნილთა და ეკომიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი საარსებო მდგომარეობის გაუმჯობესება, დასაქმების პერსპექტივის შექმნის გზით.

პროგრამის კონკრეტული მიზანია, დევნილთა და ეკომიგრანტთა პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობა, შრომის ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის.

## 2. პროგრამის შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად, ყველა საჭიროების მქონე დევნილი და ეკომიგრანტი, რომელიც 2017-2020 წლებში ჩაირიცხა სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, პროგრამის ფარგლებში დაწესებული გამონაკლისების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი იქნება ტრანსპორტირებით.

## 3. პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში, პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით, დევნილს და ეკომიგრანტს, რომელიც 2017-2020 წლებში ჩაირიცხა სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში (შემდგომში - საგანმანათლებლო დაწესებულება) სააგენტო აუნაზღაურებს საცხოვრებელი ადგილიდან საგანმანათლებლო დაწესებულებამდე და პირიქით, გადაადგილების ხარჯს.

პროგრამის ფარგლებში, ანაზღაურდება საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯი. კერძო სატრანსპორტო საშუალებით (ტაქსი) გადაადგილება ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს აქვს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი და შეზღუდვის გათვალისწინებით, საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება მისთვის პრობლემურია.

პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, ტრანსპორტირების ხარჯი აუნაზღაურდება ყველა დევნილს და ეკომიგრანტს, რომელიც დააკმაყოფილებს პროგრამის მოთხოვნებს. იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური რესურსი ყველა განაცხადის დასაკმაყოფილებლად საკმარისი არ

## პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა

იქნება, სააგენტო უფლებამოსილია პრიორიტეტი მიანიჭოს იმ განმცხადებლებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. პრიორიტეტის მინიჭება განხორციელდება შემდეგი წესის გათვალისწინებით.

პრიორიტეტული ჯგუფი	სარეიტინგო ქულა
I	განმცხადებელი, რომლის სარეიტინგო ქულა 30 001-ზე ნაკლებია
II	განმცხადებელი, რომლის სარეიტინგო ქულა 30 001-57 0001-ზე ნაკლებია
III	განმცხადებელი, რომლის სარეიტინგო ქულა 57 001- 60 001-ზე ნაკლებია
IV	განმცხადებელი, რომლის სარეიტინგო ქულა 60 001 – 65 001-ზე ნაკლებია
V	განმცხადებელი, რომელიც არ ირიცხება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

პრიორიტეტული ჯგუფის განსასაზღვრად, სააგენტოს საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის დეპარტამენტის (შემდგომში -დეპარტამენტი) მოთხოვნის საფუძველზე, განმცხადებელმა უნდა წამოადგინოს არაუგვიანეს ბოლო ერთი თვის განმავლობაში განახლებული ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.

### 3.1. განაცხადების წარმოდგენა

პროგრამის განხორციელების პროცესში, განისაზღვრება განაცხადების მიღების ვადა, რომელიც არ შეიძლება იყოს ერთ თვეზე ნაკლები. განაცხადების მიღების ვადაში, დაინტერესებულმა დევნილმა და ეკომიგრანტმა უნდა წარმოადგინოს შევსებული განაცხადი (დანართი N1) თანმდევ დოკუმენტაციასთან ერთად.

განაცხადის წარმოდგენა შესაძლებელია, სააგენტოში (მისამართი: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. N15ა) ან სააგენტოს ტერიტორიულ სამმართველოებში, შემდეგ მისამართზე:

1. ქ. გორი, სამების ქუჩა N1;
2. ქ. რუსთავი, ცურტაველის ქ. N5ა;
3. ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის გამზ. N27;
4. ქ. ზუგდიდი, დ. აღმაშენებლის ქ. N106.

## პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა

ასევე, შევსებული და დასკანერებული განაცხადი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად შესაძლებელია, გამოიგზავნოს სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე, შემდეგ მისამართზე: [info@idp.gov.ge](mailto:info@idp.gov.ge).

განაცხადს თან უნდა ერთოდეს:

1. განმცხადებლის პირადობის/პასპორტის ასლი;
2. ცნობა სასწავლებლიდან, ჩარიცხვის წლისა და სწავლის დასრულების ზუსტი თარიღის მითითებით;
3. განმცხადებლის სახელზე გახსნილი საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები;
4. შეზღუდვის დამადასტურებელი დოკუმენტი (შეზღუდვის დამადასტურებელი ცნობა, ფორმა N100 და სხვა), იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი არის შშმ პირი და ითხოვს კერძო ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯის ანაზღაურებას.

### 3.2. განაცხადების დამუშავება

სააგენტოს საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) დაამუშავებს წარმოდგენილ განაცხადებს განაცხადების მიღების ვადის დასრულებიდან არაუმეტეს 45 კალენდარული დღის ვადაში. ვადის გაგრძელება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მიღებული განაცხადების დამუშავებისათვის უფრო მეტი დროა საჭირო. ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 კალენდარული დღის ოდენობით.

დეპარტამენტი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, დამუშავების ეტაპზე, განმცხადებელს განუსაზღვროს ვადა არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ოდენობით და მოსთხოვოს მას განაცხადში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გამოსწორება, სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტაციის წარდგენა ან/და ინფორმაციის დაზუსტება. აღნიშნულის თაობაზე, სააგენტოსა და განმცხადებელს შორის კომუნიკაცია შესაძლებელია როგორც წერილობითი, ისე სატელეფონო და ელექტრონული შეტყობინებით. სატელეფონო შეტყობინების შემთხვევაში, განაცხადის გარეკანზე უნდა გაკეთდეს შესაბამისი მინიშნება შეტყობინების თარიღის მითითებით. თუ განმცხადებელი მითითებულ ვადაში არ შეასრულებს დეპარტამენტის მოთხოვნას, განაცხადი განუხილველად იქნება დატოვებული.

დამუშავების ეტაპზე, დეპარტამენტი ახორციელებს განაცხადში მითითებული მარშრუტებისა და ტარიფების გადამოწმებას შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მომსახურების განმხორციელებლის/მუნიციპალიტეტის მიერ დადასტურებული ტარიფების მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ დეპარტამენტს შესაბამისი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი სამსახურ(ებ)იდან/პირებიდან არ აქვს მიღებული განაცხადში მითითებული მარშრუტის დადასტურებული ტარიფი, დეპარტამენტი უფლებამოსილია გამოიყენოს

## პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა

დამატებითი ვადა ტარიფის დასაზუსტებლად. დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, დეპარტამენტი აცნობებს განმცხადებელს აღნიშნულის შესახებ და ვადის ამოწურვის მიუხედავად, პირველივე შესაძლებლობისთანავე გადასცემს კომისიას განსახილველად.

იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია, რაც დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტით და ითხოვს კერძო ტრანსპორტით (ტაქსი) გადაადგილების საფასურის ანაზღაურებას, სააგენტო ტარიფის დადგენის მიზნით, წერილობით მიმართავს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. ამ უკანასკნელის მიერ დადგენილი ტარიფი წარმოადგენს სახელმძღვანელოს განაცხადის დამუშავებისა და კომისიური წესით განხილვის პროცესში.

დეპარტამენტი ამოწმებს წარმოდგენილ განაცხადებს და ადგენს მის შესაბამისობას პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

1. განაცხადი წარმოდგენილია დადგენილ ვადაში, ხელმოწერილია, შევსებულია სრულყოფილად და თანდართულია წარმოსადგენი დოკუმენტაცია. მათ შორის, იგულისხმება დეპარტამენტის მოთხოვნით გამოსწორებული ხარვეზი ან/და წარმოდგენილი დოკუმენტი;
2. განმცხადებელი რეგისტრირებულია სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და ფლობს დევნილის აქტიურ სტატუსს ან არის იმ ეკომიგრანტი ოჯახის წევრი, რომლებზედაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანების შესაბამისად, გამოცემულია საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების შესახებ ბრძანება;
3. განმცხადებელი სწავლობს სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
4. განმცხადებელი სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულია 2017-2020 წლებში;
5. განმცხადებლის ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილსა და იმ საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის, სადაც სწავლობს მანძილი 1 კმ. ან 1 კმ-ზე მეტია.

დეპარტამენტი განახორციელებს იმ განმცხადებელთა მონიტორინგს, რომელიც აკმაყოფილებენ პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მონიტორინგის მიზანია, განაცხადში მითითებული ინფორმაციის გადამოწმება. განაცხადები, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს განუხილველად იქნება დატოვებული. აღნიშნულის თაობაზე, გამოიცემა სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური

## პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ეცნობება განმცხადებელს. აღნიშნული აქტი, დადგენილი წესით, საჩივრდება სასამართლოში.

მონიტორინგის განხორციელების შემდეგ, დეპარტამენტის მიერ დამუშავებული განაცხადები, მონიტორინგის ანგარიშებთან ერთად, გადაეცემა პროგრამის ფარგლებში, სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილ კომისიას (შემდგომში - კომისია).

კომისია აფასებს განაცხადს მონიტორინგის ანგარიშებთან ერთად და იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის დაკმაყოფილების შესახებ, თუ:

1. მონიტორინგის შედეგად, დადგენილია, რომ განაცხადში მითითებული ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს;
2. ზემოაღნიშნულ პირველ პუნქტთან ერთად, შეზღუდვის გათვალისწინებით, განმცხადებელს აქვს კერძო ტრანსპორტით გადაადგილების საჭიროება (იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილია კერძო სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილების ხარჯის ანაზღაურება).

კომისია არ დააკმაყოფილებს განმცხადებლის მოთხოვნას ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, თუ განხილვის პროცესში ცნობილი გახდა, რომ განმცხადებლის მიერ განაცხადში მითითებული ინფორმაცია მცდარია ან/და განმცხადებელს, რომელსაც მოთხოვნილი აქვს კერძო ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯის ანაზღაურება, არ აქვს მისი საჭიროება, შესაბამისი შეზღუდვის არ არსებობის გამო.

კომისია განაცხადში მითითებული მარშრუტის, ღირებულებისა და დეპარტამენტის მიერ მათი გადამოწმების შედეგად, დადგენილი ტარიფის გათვალისწინებით, თითოეულ განმცხადებელს უდგენს ყოველდღიურად ასანაზღაურებელ თანხას.

კომისიას უფლება აქვს განმცხადებლის მიერ მითითებული მაღალი ტარიფი შეცვალოს დაბალი ტარიფით, არსებული დოკუმენტური მტკიცებულების საფუძველზე, რის შესახებაც აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიაწოდოს განმცხადებელს. ამასთანავე, ერთიდაიმავე მარშრუტზე, განმცხადებლის მიერ რამდენიმე სატრანსპორტო საშუალების მითითებისას, კომისია აკმაყოფილებს უფრო დაბალი ტარიფის მქონე სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილების ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნას.

განაცხადის დაკმაყოფილების და დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაზე გამოიყენება სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით



## პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა

ეცნობება განმცხადებელს. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული აქტი, დადგენილი წესით, საჩივრდება სასამართლოში.

### 3.3. ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა

განმცხადებლებთან, რომელთა განაცხადები დაკმაყოფილდა, სააგენტო აფორმებს ხელშეკრულებას ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურების თაობაზე.

ამასთანავე, ფორმდება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება ყველა იმ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, სადაც პროფესიულ განათლებას იღებენ პროგრამის ბენეფიციარები.

პროგრამის ბენეფიციარი სტუდენტი თავისი ხარჯით დადის საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო მომდევნო თვის 20 რიცხვამდე სააგენტო საბანკო ანგარიშზე ურიცხავს ტრანსპორტირებისთვის გაწეულ ხარჯს, რომელიც ითვლება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამის ბენეფიციარების სასწავლო პროგრამებზე დასწრების დღეების რაოდენობის მიხედვით.

პროგრამის ფარგლებში, მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება მოხდება განაცხადის წარმოდგენის დღიდან, თუ საგანმანათლებლო დაწესებულებამ, სადაც განმცხადებელი სწავლობს სააგენტოს მიაწოდა სასწავლო პროგრამაზე სტუდენტის დასწრების მონაცემები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანაზღაურება განხორციელდება განმცხადებელთან ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ხელშეკრულების გაფორმების დღიდან.

### 3.4. პროგრამის გავრცელების არეალი

პროგრამა ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

### 3.5. პროგრამის ხანგრძლივობა

სამოქმედო გეგმის თანახმად, პროგრამა ხორციელდება 2020-2021 წლებში. პროგრამის ხანგრძლივობა შეიძლება შეიცვალოს ზემოთხსენებული სამოქმედო გეგმის მიხედვით. კანონმდებლობის შესაბამისად, პროგრამის ხანგრძლივობის შემცირების შემთხვევაში, სააგენტოს უწყდება წარმოშობილი ვალდებულებები პროგრამის ბენეფიციართა მიმართ.

## პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა

ამასთანავე, სააგენტო გონივრული ვადით ადრე, თუმცა არაუგვიანეს პროგრამის შეწყვეტამდე 1 (ერთი) კვირისა, შეატყობინებს პროგრამის ბენეფიციარებს პროგრამის ხანგრძლივობის შემცირების თაობაზე.

### 4. პროგრამის ბიუჯეტი

2020 წლისათვის პროგრამისთვის დადგენილი ბიუჯეტია 100 000 ლარი. დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

### 5. პროგრამის შეფასება და მონიტორინგი

პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ზოგადი მიზანია, დადგინდეს მიღწეულ იქნა თუ არა პროგრამის მიზანი და საჭიროა თუ არა პროგრამაში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რომელიც შემდგომში სააგენტოს დაეხმარება მიზნის უკეთ მიღწევაში.

მონიტორინგი მიზნად ისახავს ერთი მხრივ, პროგრამის ბენეფიციართა მუდმივ კონტროლს, მეორე მხრივ კი პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის არამიზნობრივი ხარჯვის თავიდან აცილებას.

შეფასების მიზანია, პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა და საჭიროების შემთხვევაში შემდგომი წლისათვის პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებებისათვის დასაბუთებული რეკომენდაცი(ებ)ის შემუშავება.

#### 5.1. პროგრამის მონიტორინგი

პროგრამის განხორციელების ყველა ეტაპზე, დეპარტამენტი განახორციელებს მის მონიტორინგს. აღნიშნულ პროცესში, დეპარტამენტი მჭიდროდ ითანამშრომლებს იმ სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სადაც პროგრამის ბენეფიციარები იღებენ პროფესიულ განათლებას. სასწავლებლებთან ურთიერთობა და პროგრამის ბენეფიციართა დასწრების შესახებ ინფორმაციის მიღება/გადამოწმება წარმოადგენს მონიტორინგის ერთ-ერთ მექანიზმს.

#### 5.2. პროგრამის შეფასება

## პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის შეფასება განხორციელდება ყოველი კალენდარული წლის ბოლოს. პროგრამის შეფასებას განახორციელებს სააგენტო. პროგრამის შეფასების მიზნით შემუშავდება სპეციალური კითხვარები, რომელთა მიხედვითაც, მოხდება პროგრამის ბენეფიციართა გამოკითხვა. აღნიშნული კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად, გამოვლინდება პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეები და საჭიროების შემთხვევაში შემუშავდება რეკომენდაციები პროგრამაში სათანადო ცვლილებების შეტანის მიზნით.